დაცული ტერიტორიების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ზონირება და გარემოს მდგრადი განვითარება (ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მაგალითზე)

ნანა კვინცხაძე

ელ-ფოსტა:nana.kvintskhadze546@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,საქართველო

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება დაცული ტერიტორიების ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ ზონირებას და გარემოს მდგრად განვითარებას ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მაგალითზე. ვინაიდან დაცული ტერიტორიები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ადამიანის სულიერი თუ ფიზიკური მოთხოვნილებების განვითარებაში, საჭიროა როგორც მათი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის გამოვლენა, ასევე იმ პრობლემების გამოკვეთაც, რის წინაშეც დგას აღნიშნული დაცული ტერიტორიები.

საკვლევი თემის აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, რომ დღევანდელი გარემო განიცდის ძლიერ ანთროპოგენულ პრესინგს, ამიტომ მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა პრობლემების წინაშეა საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი დაცული ტერიტორია. საკვლევ თემაში განხილულია როგორც ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ლანდშაფტური რესურსების მრავალფეროვნება და მისი ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი, ასევე ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ზონირების საკითხები და ის პრობლემები, რის წინაშეც დგას აღნიშნული რეგიონი.

ნაშრომში ასევე განხილულია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებები და პრობლემები. საკვლევი თემა აქტუალურია იმითაც, რომ საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად მიჩნეულია ტურიზმი, ამიტომ საინტერესოა გამოვლენილი იქნას კონკრეტული დაცული ტერიტორიის როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები.

საკვლევი თემის დამუშავებისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის ინფორმაცია, მათ შორის თემატური რუკები, მოხდა მათი შეჯერება, გაანალიზება და რეკომენდაციების გაცემა, რაც თემით დაინტერესებულ მკითხველს საინტერესო ინფორმაციას მიაწვდის.